



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის სადოქტორო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	PhD Program in Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
უმაღლესი	
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის დოქტორი (06)
ინლისურად:	Doctor Juris / PhD in Law (06)
პროგრამის ხელმძღვანელი	სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დევი ხვედელიანი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, პირველი წელი 60 ECTS, მეორე წელი და მესამე წელი 120 ECTS კრედიტი. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.</p> <p>სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. პირველი (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრი მოიცავს 19-19 კალენდარულ კვირას. შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.</p>	

1 ECTS კრედიტი უდრის 25 Cr. საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მიმართულების ხელმძღვანელთან, დოქტორანტურის კოორდინატორთან და ა.შ.), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის (სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თემის აქტუალურობის დასაბუთება, გადასაჭრელი ამოცანების ჩამოყალიბება თეორიული და/ან ემპირიული კვლევა, ასისტირება, რეცენზირების და ა.შ) განკუთვნილ დროს.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობიდან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 ECTS კრედიტი - კვლევით კომპონენტს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი არაუმეტეს 8 სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს, რაც დეტალურად განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (CSL) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი B2 დონის სერტიფიკატის წარმოდგენა სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა აპლიკანტისათვის, რომელიც აირჩევს საერთაშორისო სამართლის მიმართულებას.

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სადოქტორო პროგრამებზე რიცხულ, სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს.

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია სამართალმცოდნეობაში ახალი თაობის მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას თეორიული და პრაქტიკული, მტკიცებითი ან ემპირიული კვლევების მეშვეობით; დოქტორანტებში კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია იურიდიული ანალიზის, ინტერდისციპლინური, სოციალური და კრიტიკული მიდგომის განვითარებასა და გაღრმავებაზე.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კვლევებზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებას, სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

დოქტორანტებს განუვითაროს აქტუალური სამართლებრივი პრობლემების მეცნიერული გააზრებისა და შეფასების უნარი, უზრუნველყოს არსებული ცოდნის

	<p>განახლება და მისი იმპლემენტაცია კვლევის პროცესთან ერთად;</p> <p>ფუნდამენტურ სამართლებრივ ნორმათა და ღირებულებათა კვლევაში ახლებურად გააზრების საფუძველზე ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის, პრაქტიკულად გამოყენებადი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომის შექმნას;</p> <p>სამეცნიერო და აკადემიურ წრეებთან დინამიკური კომუნიკაციის ჩამოყალიბებით ხელი შეუწყოს ცოდნის მუდმივი განახლების უნარის გამომუშავებას;</p> <p>გამომუშაოს სამართლის შესაბამის სფეროში შემავალი დარგობრივი პრობლემების გადაწყვეტის, თანამედროვე კონცეპტუალური მოდგომებისა და მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარი.</p> <p>მიზნიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის ამოცანებია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიღრმისეული მეცნიერული კვლევა; ➤ სამართლებრივი აზროვნების განვითარება; ➤ დროის გამოწვევების შესაბამისად იურიდიული ცნობიერების თვისებრივი სახეცვლილება; ➤ სამართლის დარგების ნაკლოვანი მხარეების დაუფარავად წარმოჩენა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება; <p>დინამიკურად, სამართლის დარგობრივი პრობლემატიკის სიღრმისეული მეცნიერული კვლევა და სამართლის დარგებით/ქვედარგებითა და ინსტიტუტებით რეგულირებადი სამართლებრივი ურთიერთობების ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენა, შესაბამისი წინადადებების შემუშავება.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება სამართლის მიმართულებით ეროვნული სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების სპეციფიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, პროდუქტიული კვლევის კომპეტენცია.</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ზოგადი კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვის და სამეცნიერო კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი; ➤ უახლეს წყაროებზე, მათ შორის, უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობითა და კომპარატივისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით სამეცნიერო კვლევის წარმართვის, აგრეთვე უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების უნარი; ➤ სამეცნიერო მუშაობის დამოუკიდებლად, აგრეთვე გუნდურად წარმართვის უნარი; ➤ არსებული ცოდნის გაფართოების უნარი; ➤ ინოვაციური მეთოდების გამოყენების, აგრეთვე ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის; ახალი იდეების გენერირების უნარი; ➤ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავების უნარი; ➤ სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი; ➤ სამეცნიერო დებატებში ჩართვისა და საკუთარი პოზიციის

- დამაჯერებლად დასაბუთების, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- სამოქალაქო საზოგადოების წევრთა მოტივირებისა და მათი საერთო შედეგზე კონცენტრირების უნარი;
- სასწავლო პროგრამების შედგენის და წარმართვის, სამეცნიერო-სამართლებრივი პროექტების შედგენისა და შეფასების უნარი;

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი **დარგობრივი კომპეტენციები**:

ცოდნა და გაცნობიერება – დოქტორანტს ეცოდინება:

- დარგის ან/და ქვედარგის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ახალი მეცნიერული ხედვები, დარგობრივი პრობლემატიკის გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომები;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება, რაც არსებული ცოდნის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გაფართოების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- დარგის ან/და ქვედარგის, ასევე დარგთაშორისო სფეროს სპეციფიკური (თეორიული და კვლევითი) მეთოდები, რომლებიც სამართლის მიმართულებით წარმატებით მუშაობის საფუძველია;
- სამართალი, როგორც ჰეტერონომიული წესრიგი და მისი არსებობის აუცილებლობის საკითხები, ფილოსოფიური კატეგორიები და მათი კავშირი სამართალთან;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, უმაღლესი სკოლის ადმინისტრირება, ხარისხის მართვა უმაღლეს სკოლაში, სტუდენტთა აზრის კვლევა;
- კვლევის (მათ შორის, სამართლებრივი კვლევის) პროცესების ასპექტები, დინამიკა, გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევის მეთოდები, კომპარატიული კვლევის მეთოდები, სოციოლოგიური კვლევის სახეები და მათი მნიშვნელობა სადისერტაციო კვლევისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – დოქტორანტი შეძლებს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლეების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- სამეცნიერო ნაშრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაფორმებას და დაცვას;
- პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებას;
- ინტერდისციპლინურ და იურისტთა ჯგუფში მეცნიერული კვლევის ორგანიზებას და შედეგიან პროფესიულ მუშაობას;
- კომპლექსური იურიდული ნაშრომის ანალიზს და დასკვნის გაკეთებას;
- თანამედროვე მსოფლიოს გლობალური, ეროვნული და პიროვნული პრობლემების სამართლებრივი მოწესრიგების ფილოსოფიური მოდელების, აგრეთვე სამართლის ფილოსოფიის ფუძემდებლური ცნებებისა და ძირითადი თეორიების შესახებ მეცნიერულ და არაუმენტირებულ მსჯელობას;
- ახალი სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების შემუშავებასა და

- თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის დანერგვას;
- სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით საუნივერსიტეტო განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირებას, ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციასა და სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადებას.

დასკვნის გაკეთების უნარი – დოქტორანტი შეძლებს:

- პრობლემათა იდენტიფიცირებასა და სამართლებრივ ანალიზს, აგრეთვე პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას და დასაბუთებას;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და მეცნიერულ შეფასებას;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვლევის მეთოდების ეფექტურობის შეფასებას, კორექტირებასა და ახალი მეთოდების შემუშავებას.
- აკადემიურ ჯგუფში შექმნილი სასწავლო თავისებურებების ანალიზს და შეფასებას და ამის საფუძველზე პედაგოგიურად გამართლებული გადაწყვეტილების მიღებას.

კომუნიკაციის უნარი – დოქტორანტი შეძლებს:

- საკუთარი კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენას მეცნიერთა და სპეციალისტთა წრეში, მათ შორის, ერთ–ერთ ევროპულ ენაზე;
- მეცნიერულ დებატებში ჩართვას, განსხვავებული აზრის გაგებას და საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას;
- სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა წყაროს მოძიებას, ნებისმიერი სირთულის სამართლებრივი ინფორმაციის სტრუქტურირებას შესაბამისი ფორმატით, კონკრეტული ადრესატისათვის წარდგენას წერიითი ან/და ზეპირი ფორმით, მათ შორის, ერთ–ერთ ევროპულ ენაზე;
- სამეცნიერო სტილის დაცვით და სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის, ასევე საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციებისათანადოდ გაფორმებას, სტრუქტურირებასა და გამოქვეყნებას.

სწავლის უნარი – დოქტორანტი შეძლებს:

- არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით სიახლის გაცნობიერებას;
- უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაკვირვებას, ახალი მეცნიერული იდეების ან/და თვალსაზრისის განვითარებას;
- სადავო საკითხთან მიმართებაში შეხედულებების კონსტრუქციულად დაცვას;
- აკადემიურ ჯგუფთან კომუნიკაციას, სილაბუსის შედგენას სტუდენტებისათვის გასაგებ ენაზე და მის წარდგენას აკადემიურ ჯგუფში, სწავლების აქტუალურ პრობლემებზე კომუნიკაციას და საუნივერსიტეტო მართვის პროცესში მონაწილეობას.

ღირებულებები:

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად მიღებული ცოდნისა და მეცნიერული კვლევის საფუძველზე, დოქტორანტი შეძლებს სამართლის უმნიშვნელოვანესი ღირებულებების მეცნიერულ კვლევას, მათი ჩამოყალიბების პროცესის შესწავლას და მათ დასამკვიდრებლად საკუთარი პროფესიული კარიერის გამოყენებას.

კავკასიის უნივერსიტეტი დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან აფორმებს

<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ სამწლიან ექსკლუზიურ შრომით ხელშეკრულებას.</p> <p>სამართლის დოქტორები შეძლებენ პედაგოგიურთან ერთად, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას, ასევე კონკურენტუნარიანები იქნებიან პროფესიაში მაღალი პოზიციების საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად.</p>
-----------------------------------	---

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მისი დამოუკიდებელი მუშაობის/პრეზენტაციების შეფასებას; ➤ შუალედურ შეფასებას; ➤ დასკვნითი გამოცდის შეფასებას. <p>დოქტორანტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.</p> <p>სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:</p> <p>სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91.00–100.00%. • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81.00 – 90.00%. • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71.00 – 80.00%. • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61.00 – 70.00%. • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51.00 – 60.00%. <p>თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
--	--

<p>სადისერტაციო ნაშრომის შეფასება</p>	<p>სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
--	---

- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღმატება;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღმატება;
- საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ შეფასება იქნა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან სრულიად „არადამაკმაყოფილებელი“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone). დისერტაციის შეფასება ხორციელდება კოლეჯის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს განსაზღვრავს და აკონკრეტებს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ძირითადად დოქტორანტთან საქმიანობა ატარებს მკვეთრად სპეციფიკურ ხასიათს გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან და კვლევის ინტერესებიდან.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერიტი მუშაობის, დემონსტრირების,, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. დოქტორანტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად. კონკრეტული მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სალაბუსებით და სასწავლო კურსის სპეციფიკით. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის სამართლის სკოლის დიდაქტიკურ სახელმძღვანელოში.

ასევე მკვეთრად ინდივიდუალიზირებულია მეცნიერ-ხელმძღვანელის ზედამხედველობა დოქტორანტის მიერ წარმოებული კვლევისადმი.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
სამართლის ფილოსოფია	<p>სამართლის ფილოსოფია, როგორც სამართლის და ფილოსოფიის მეცნიერებათა კვლევის მეთოდების სინთეზური გაერთიანება და მისი სამართლებრივ-ფილოსოფიური კატეგორიები. სამართლის ფილოსოფიის წარმოშობის საფუძვლები და განსხვავება მოდგომებსა და მსოფლმხედველობებში. სამართალი, როგორც ბაზისი თუ ზედნაშენი საზოგადოებრივ უთიერთობათა ჭრილში. სამართლის აქსიოლოგია, სამართალი როგორც ღირებულება და შეფასება, სამართალი, როგორც ნორმათა სისტემა, სამართალი როგორც სოციოლოგიური ფენომენი და მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. სამართალი და სამართლიანობა, უნივერსალური და პოზიტიური სამართალი. სამართლის ანთროპოლოგია, სამართალი როგორც კულტურისა და ცივილიზაციის ფენომენი; სამართალი და კულტურულ ფასეულობათა სისტემა, სამართლის მემკვიცნება, აღქმა, აღიარება და სამართლის ჰერმენევტიკა, მეტაფიზიკა, დიალექტიკა, ექსისტენციალიზმი და სამართალი.</p>	არჩევითი	5	I
სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისთვის	<p>სამართლის სხვადასხვა საკითხებისა და ინტერდისციპლინური, თანამედროვე სამეცნიერო კვლევ(ებ)ის მიზანია არსებული სამეცნიერო ცოდნის გამოყენება/ანალიზის და სხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების მეშვეობით ახლის აღმოჩენა/შეთავაზება სამეცნიერო საზოგადოებისათვის.</p> <p>დღევანდელ საქართველოს სინამდვილეში, სამეცნიერო კვლევები სამართლის მიმართულებით მინიმალურია, ასევე მინიმალური მოცულობის, ოდენობისა და ხარისხის არის ქართულენოვან მკვლევართა ინტელექტუალური შემოქმედების ხვედრი წილი საერთაშორისო, მსოფლიო სამართლის მეცნიერების განვითარების ერთიან სივრცეში, რაც პირველ რიგში უკავშირდება სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტრუმენტთა არასათანადო გამოყენებას.</p> <p>მოცემული კურსის მიზანია, სამეცნიერო წერითი დისკურსის უნარჩვევების შექმენა/განვითარება (კვლევითი/აკადემიური ნაშრომის კომპოზიციური, ენობრივი და სტილური თავისებურებების სწავლება და შესაბამისი</p>	არჩევითი	5	I

	<p>უნარჩვევების განვითარება). სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების სწავლება. სტუდენტთათვის კრიტიკული აზროვნებისა და სამეცნიერო წერის უნარ(ებ)ის განვითარება. ამასთან, კურსის მიზანია, აღჭურვოს სტუდენტი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომის შექმნისთვის საჭირო უნარებით, რომ მან შეძლოს ნაშრომის ტექსტის ლოგიკური ბმის უზრუნველყოფა, დამაჯერებელი არგუმენტაციის ჩამოყალიბება, ნაშრომში განხილული საკითხების თანმიმდევრულად განხილვა, ნაშრომში შემავალი ნაწილების შინაარსის სწორად ჩამოყალიბება. ეს ცოდნა და უნარი სტუდენტს აუცილებლად ესაჭიროება სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობის წარმართვისათვის.</p>			
<p>სწავლების ინოვაციური მეთოდები</p>	<p>პედაგოგიური ანთროპოლოგია, ადამიანი პედაგოგიური ანთროპოლოგიის მიხედვით, ადამიანის განვითარება დროსა და სივრცეში, აღზრდა - ანთროპოლოგიური მოვლენა, ადამიანი და კულტურა, ანთროპოლოგიური ცოდნის სისტემა, ჰუმანურ-პიროვნული პედაგოგიკა, თანამშრომლობითი პედაგოგიკა, ჰუმანურ-პიროვნული მიდგომა საგანმანათლებლო პროცესში, „ცხოვრების სკოლა“, ჰუმანურ-პიროვნული მიდგომის ფილოსოფია, სულის წვრთნა, სწავლა ცხოვრებიდან, ცხოვრებაში, ცხოვრებისთვის, ჰუმანურ-პიროვნული პედაგოგიკა, თანამშრომლობითი პედაგოგიკა, ჰუმანურ-პიროვნული მიდგომა საგანმანათლებლო პროცესში, „ცხოვრების სკოლა“, ჰუმანურ-პიროვნული მიდგომის ფილოსოფია, სულის წვრთნა, სწავლა ცხოვრებიდან, ცხოვრებაში, ცხოვრებისთვის, აქტიური კითხვა - შემეცნებითი საქმიანობა და თვითგანვითარების საშუალება, თვითაღზრდა და თვითკონტროლი (თვითმმართველობა), სტუდენტთა ძირითადი სამუშაოების ძირითადი ასპექტები, რა არის კრიტიკული აზროვნება, კრიტიკული აზროვნების როლი პიროვნების განვითარების პროცესში, სამეცნიერო-ინფორმაციული საქმიანობის საფუძვლები, ადამიანის ყოფიერების წესი და თავისუფლების პრობლემა; თავისუფლების პრობლემის არსი; თავისუფლება და პასუხისმგებლობა, საუნივერსიტეტო კულტურა (ინდივიდუალური ქცევის საფუძვლები), აღქმა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება. მოტივაციის ცნება (გავლენის სფეროს გაფართოება, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება). უმაღლესი სკოლის ადმინისტრირება, ხარისხის მართვა უმაღლეს სკოლაში, სტუდენტთა აზრის კვლევა.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>II</p>
<p>სამართლებრივი კვლევის მეთოდები</p>	<p>იმისათვის რომ განვხორციელოთ სამართლებრივი კვლევა აუცილებელია ვიცოდეთ რა ინსტრუმენტები გვაქვს კვლევის განხორციელებისათვის და როგორ უნდა გამოვიყენოთ თითოეული.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>I</p>

	<p>კურსის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტს კვლევითი სამეცნიერო პროექტ(ებ)ის მომზადებაში, იმისათვის რომ სტუდენტმა შეძლოს სამეცნიერო კვლევ(ებ)ის დამოუკიდებლად განხორციელება.</p> <p>კურსი შედგება სამი ძირითადი, საკვანძო კომპონენტისგან, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია შემადგენელ ნაწილებად:</p> <p><u>კვლევის მეთოდები და დიზაინი</u></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები ▪ ექსპერიმენტული და კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი ▪ შერჩევის სტრატეგიები თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევაში ▪ ვალიდობა და სანდოობა ▪ გამოკითხვა ▪ ქეისების კვლევა <p><u>მონაცემთა შეგროვების მეთოდები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერვიუ ▪ კითხვარი ▪ დაკვირვება ▪ ფოკუსური ჯგუფი <p><u>მონაცემების ანალიზი</u></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ძირითადი ტენდენციები ▪ ხი-კვადრატი კონტიგენტური ცხრილებისთვის ▪ ტი ტესტი დამოუკიდებელი შერჩევითი ერთობლიობებისთვის ▪ კორელაციური ანალიზი 			
--	---	--	--	--

	<ul style="list-style-type: none"> თვისებრივი მონაცემების ანალიზი 			
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში	<p>21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ხანაა. ტექნოლოგიები თითოეული სფეროსათვის განუყოფელი და საარსებოდ აუცილებელი გახდა. თანამედროვე პედაგოგიკა მეტწილად დაფუძნებულია ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებაზე. სწორედ ტექნოლოგიების კარგი ცოდნა გვებმარება მოვიძიოთ უახლესი ინფორმაცია დარგსა და დარგის მომიჯნავე სფეროებიდან. უახლესი ინფორმაცია განვითარების საწინდარია და სწორედ ეს ქმნის პედაგოგის კვლევით, თუ აკადემიურ სამუშაოს უფრო მეტად მიმზიდველს. ტექნოლოგიების გამოყენება ნაყოფიერ შედეგს იძლევა მონაცემთა კონსოლიდირებასა და ვიზუალიზაციაში, სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის სასწავლო მასალას ეფექტურს და ადვილად ასათვისებელს. კურსის გავლის შემდეგ მსმენელები შეძლებენ სამიზნო სისტემების და ონლაინ ბიბლიოთეკების ეფექტურ და სწრაფ გამოყენებას, ისწავლიან სწორი ძებნის მეთოდებს. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ელექტრონული რესურსების გამოყენებას, ელექტრონული მიმოწერის სტანდარტებს, კალენდრის დაგეგმვას და სხვებისათვის გაზიარებას, ფაილური საცავების შექმნასა და მართვას, დისტანციური სწავლებისათვის ვიდეო ტრანსლაციის მართვას, საოფისე კომპიუტერული პროგრამებს მაღალი დონის ბრძანებების გამოყენებას. რაც ხელს შეუწყობს სალექციო მასალების ვიზუალიზაციას, პრეზენტაციის შექმნასა და ჩატარების მეთოდოლოგიას.</p>	არჩევითი	5	II
პროფესორის ასისტენტობა	<p>პროფესორის ასისტენტობა, რომელიც წარმოადგენს არჩევით კომპონენტს, გულისხმობს დოქტორანტის ჩაბმას სასწავლო პროცესში სამართლის სკოლის აკადემიურ პერსონალისათვის დახმარების გაწევის, რაც გამოიხატება ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯგუფში სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით მეცადინეობის - სემინარის ჩატარებაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტებისა და კაზუსების მომზადებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა წერითი ნაშრომების გასწორებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა ზეპირ გამოკითხვაში.</p>	არჩევითი	5	II
უცხოეთის უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსი	<p>უცხოეთში გავლილი სასწავლო კურსი, წარმოადგენს არჩევით კომპონენტს და გულისხმობს დოქტორანტის მიერ უცხოურ უნივერსიტეტში სამართლის სადოქტორო პროგრამის რელევანტური კურსის გავლას. ყოველივე აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტალურად. აღნიშნულს ენიჭება 5 ECTS კრედიტი, რომლის აღიარება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ, რისთვისაც დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის გავლის</p>	არჩევითი	5	II

	დამადასტურებელი საბუთი და დადებითი შეფასება.			
პირველი თემატური სემინარი	სამართლის სადოქტორო პროგრამის თანახმად თემატური სემინარი არის სასწავლო კომპონენტი და არ არის დაკავშირებული სადოქტორო ნაშრომთან. დოქტორანტი თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით არჩევს/ათანხმებს ნაშრომის თემას, ამუშავებს მას და აწყობს საჯარო პრეზენტაციას. თემატური სემინარის წარმატებით დაცვის შემთხვევაში დოქტორანტის აქტივობა ფასდება 20 კრედიტით. პროგრამის თანახმად პირველი თემატური სემინარის შესრულება და დაცვა გათვალისწინებულია პირველ სემესტრში.	სავალდებულო	20	I
მეორე თემატური სემინარი	სამართლის სადოქტორო პროგრამის თანახმად თემატური სემინარი არის სასწავლო კომპონენტი და არ არის დაკავშირებული სადოქტორო ნაშრომთან. დოქტორანტი თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით არჩევს/ათანხმებს ნაშრომის თემას, ამუშავებს მას და აწყობს საჯარო პრეზენტაციას. თემატური სემინარის წარმატებით დაცვის შემთხვევაში დოქტორანტის აქტივობა ფასდება 20 კრედიტით. პროგრამის თანახმად მეორე თემატური სემინარის შესრულება და დაცვა გათვალისწინებულია მე-2 სემესტრში.	სავალდებულო	20	II
დისერტაციის მომზადება და დაცვა	დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის მომზადებას და დაცვას, სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე: საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთებას, კვლევის მიზნისა და გამოსაყენებელი სამართლებრივი კვლევის მეთოდების განსაზღვრას, საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვას და ა.შ. სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევითი კომპონენტი ემყარება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებულ სამუშაოს. იგი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მასალის დამუშავებას და წარმოდგენას. თემას მეცნიერ ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს დოქტორანტი. მასში აისახება თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები და მისი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, დოქტორანტის კრეატიული აზროვნების გამომუშავება, ნაშრომის ენის, სტილისა და სტრუქტურის სისწორის შემოწმება, დროის სწორი მენეჯმენტი, კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სწორად განაწილება და გაწეული სამუშაოს წარდგენა.	სავალდებულო	120	III-VI